რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და კოპტური ეკლესიის სასულიერო სკოლების თანამშრომლობის განვითარების საკითხთან დაკავშირებით თათბირი გაიმართა

2021 წლის 28 აგვისტოს, ეგვიპტის მონასტრებისა და წევრების სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას, ნოვოდევიჩის აღდგომის სახელობის მონასტერში, თათბირი გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და კოპტური ეკლესიის სასულიერო სკოლების თანამშრომლობის განვითარების საკითხთან დაკავშირებით. შეხვედრა შედგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და კოპტური ეკლესიის დიალოგის კომისიის საქმიანობის კონტექსტში.

მოსკოვის საპატრიარქოს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პეტერგოფის ეპისკოპოსმა სილუანემ და სსკგ-ს ქრისტიანთაშორისი ურთიერთობის მდივანმა მღვდელმონაზონმა სტეფანემ (იგუმნოვი). კოპტურ ეკლესიას წარმოადგენდნენ ქაიროს კოპტური სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი ეპისკოპოსი მიქაელი, რუსეთში კოპტური ეკლესიის წარმომადგენელი მღვდელმონაზონი დაუდ ელ-ანტონი და კოპტური საპატრიარქოს სპეციალური წარმომადგენელი დოქტორი ანტონ მილადი.

მხარეებმა განიხილეს აკადემიურ სფეროში თანამშრომლობის აქტუალური გეგმები, იმ მოლაპარაკებების განვითარების მიხედვით, რომლებიც მიღწეულ იქნა 2019 წელს რუსული და კოპტური სასულიერო სკოლების ხელმძღვანელთა ეგვეპტესა და რუსეთში ჯვარედინი ვიზიტებისას. უახლოეს გეგმებშია – დელეგაციების გაცვლის გაგრძელება, სტუდენტური და სწავლებითი გაცვლები, სამეცნიერო კონფერენციებში ერთობლივი მონაწილეობა, ბიბლიოთეკების, რეგენტებისა და ხატწერის სკოლების კონტაქტები.

***

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და კოპტური ეკლესიის დიალოგის კომისიის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას აკადემიური სფერო წარმოადგენს. 2015 წლის მაისში წმინდა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს ზოგადსაეკლესიო ასპირანტურასა და დოქტურანტურაში სპეციალური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შედგა რუსული და კოპტური სასულიერო სკოლების თანამშრომლობის განვითარების კუთხით, რომლის მიხედვითაც 2016-2018 წლებში ინიცირებულ იქნა რიგი ერთობლივი პროექტები, მათ შორის სტუდენტური გაცვლისა და სამეცნიერო კონფერენციებში ერთობლივი მონაწილოების სფეროში.

2019 წლის 6-13 მაისს ეგვიპტეში იმყოფებოდა მოსკოვის სასულიერო აკადემიის დელეგაცია (**https://mospat.ru/ru/news/46379/**), რომელმაც კოპტური ეკლესიის წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოინახულა, მათ შორის კოპტური აკადემია და სემინარია და კოპტური კვლევების ინსტიტუტი. იმავე წლის 7-14 ნოემბერს რუსეთში საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა კოპტური სასულიერო სკოლების დელეგაცია (**https://mospat.ru/ru/news/45910/**). შედგა თემატური მრგვალი მაგიდები მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სრეტენის სასულიერო სემინარიაში, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურასა და დოქტურანტურაში, წმინდა ტიხონის მართლმადიდებლურ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტსა და მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის სახ. რუსეთის მართლმადიდებლურ უნივერსიტეტში.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87942/